თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურს

მდებარე: თბილისი, ჟ.შარტავას ქუჩა №7.

შპს "ვეფხვის" დირექტორის გია ვეფხვაძის

წარმომადგენლის ნანა მურადაშვილის

მცხ: თბილისი, ვაზისუბანი, IV მკრ, II კვრტ,

X-ე კორპ, ბინა №54; ტელ: 593-33-41-97

უფლებამოსილების დამადასტურებელი

მტკიცებულება განცხადებას თან ერთვის

განცხადება

მოგახსენებთ რომ უძრავი ქონება მდებარე: თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა №3, საკადასტრო კოდით №01.13.03.050.002 საკუთრების უფლებით ირიცხება სახელმწიფოსა და შპს "ვეფხვის" სახელზე, მიწის ნაკვეთი მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო შენობა-ნაგებობა №3 მშენებარე გახლავთ საზოგადოების საკუთრება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმასთან ერთად შუამდგომლობას თან ერთვის.

სახელმწიფოსა და ორგანიზაციას შორის მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 2002 წლის 15 იანვარს.

ჩემი მარწმუნებლისთვის ზეპირ-სიტყვიერად ცნობილი გახდა ის გარემოება რომ მათ საკუთრებასა და მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებას (საკუთრების ქვეშ იგულისხმება შენობა-ნაგებობა) მინიჭებული აქვს სარეკრიაციო ზონის სტატუსი.

ორგანიზაციასა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შორის მიმდინაორეობდა მოლაპარაკება უძრავი ქონების პირდაპირი წესით შესყიდვის საკითხთან დაკავშირებით, სარეკრიაციო ზონის არსებობამ აღნიშნული საკითხის განხორციელებაში შეგვიშალა ხელი.

შპს "ვეფხვს" სურვილი აქვს აღნიშნული ტერიტორიით დააინტერესოს უცხოელი პარტნიორი, რათა მითითებულ მისამართზე გასწიოს ინვესტიცია, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (ბავშვთა ცენტრი, ბანკი, კაფეტერია, ნოტარიუსი, ბანკომატები, სასტუმრო) მშენებლობის თვალსაზრისით, რა დროსაც უამრავი უმუშევარი ადამიანი იქნება დასაქმებული და დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაში ბევრ ოჯახს გაუჩნდება ლუკ-პურის ფული.

სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო დაინტერესებულია ჩვენს მიერ მითითებული ინვესტიციით და პირდაპირი შესყიდვით, მაგრამ ხელს გვიშლის სარეკრეაციო ზონის არსებობა.

ვაცნობიერებთ იმ გარემოებას რომ იქამდე ვიდრე აღნიშნულ ტერიტორიას მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ზონა, ჩემი მარწმუნებლის ორგანიზაცია, ვერანაირ მშენებლობას ვერ განახორციელებს და ვერც ინვენსტიციას ვერ გასწევს, ჩვენი შეკითხვა მდგორეობს შემდეგში: არის თუ არა შესაძლებელი იმ პირობებში როდესაც ტერიტორიას მინიჭებული აქვს სარეკრიაციო ზონა, ორგანიზაციამ იქ არსებული შენობა მხოლოდ შეაკეთოს, გაამაგროს, განაახლოს, გაარემონტოს? გთხოვთ, წერილობითი პასუხი გაგვცეთ უმოკლეს ვადებში.

დანართი: 1. ნანა მურადაშვილის სახელზე გაცმული მინდობილობა;

2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმასთან ერთად;

პატივისცემით

შუამდგომლობის ავტორი: /ნ.მურადაშვილი/

06.03.17წ.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

39881898836816

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160857037

რეგისტრაციის თარიღი

02.08.2016 წ

ნოტარიუსი: ნინო მასხულია
მისამართი: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
ტელეფონი: 2997150

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასთექვსმეტი წლის ორ აგვისტოს მე, ნოტარიუსს, ნინო მახნულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **გია ვეფხვაძემ.** მან განაცხადა, რომ არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის** საზოგადოების **"ვეფხვი"** დირექტორი, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის 2011 წლის 21 ოქტომბრის ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის №B11152565, საიდენტიფიკაციო კოდი 201955152, სურს საზოგადოების სახელით შეადგინოს რწმუნებულება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ქალბატონ ნანა **მურადაშვილს.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ბატონმა **გია ვეფხვაძემ,** დაბადებულმა 1964 წლის 1 ივნისს თბილისში, პირადი №01006010202, პასპორტი 07AD33404, რეგისტრირებული ქ.თბილისში, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, მე-6ბ კორპუსი, ბინა 20.

მე მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მარწმუნებელს განვუმარტე რწმუნებულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი ძედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს რწმუნებულება, რის შესახებაც უნდა აცნობოს რწმუნებულს. ამ განმარტების შემდეგ, შევადგინე წინამდებარე რწმუნებულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მარწმუნებელმა თავადაც წაიკითხა იგი, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ რწმუნებულება სრულად გამოხატავს საზოგადოების ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის რწმუნებულებას:

რწმუნებულება

ორიათასთექვსმეტი წლის ორ აგვისტოს ***შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ვეფხვი"-ს,*** რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც "მარწმუნებელი", დირექტორმა, **გია ვეფხვაძემ, ნანა მურადაშვილს,** დაბადებულს 1973 წლის 28 ივლისს თბილისში, პირადი №01012031362, რეგისტრირებულს ქ.თბილისში, ვაზისუბნის მე-4 მ/რ, მე-2 კვარტალი, მე-10 კორპუსი, ბინა 54, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც "რწმუნებული", შ.პ.ს. "ვეფხვი"-ს სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის, შ.პ.ს. "ვეფხვი"-ს ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულ სამსახურებში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გადაიხადოს და დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გააკეთოს ამონაწერები მასალებიდან, წარადგინოს და მიიღოს საჭირო ცნობები, დოკუმენტები, ამონაწერები, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ცნოს სარჩელი, ნაწილობრივ, ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, აიღოს სასამართლოს გადაწყვეტილება, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს საარბელაციო და საკასაციო საჩივარი, უარი თქვას გასაჩივრებაზე, დაამთავროს საქმე მორიგებით, დაიბრუნოს მასალები, აიღოს სააღსრულებო ფურცელი, აწარმოოს სააღსრულებო საქმე.

არავინ არ შეიძლება ეძლეოდეს დააკისროს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

რწმუნებულება გაცემულია სამი წლის ვადით.

რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარძალისშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ორი გადაეცა მარწმუნებელს.

რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ერთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის 2011 წლის 21 ოქტომბრის ამონაწერი შპს "ვეფხვი"-ს შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის №№B11152565, საიდენტიფიკაციო კოდი 201955152.

გადახდილია 13,80 ლარი - აქედან: სახელმწიფო 10,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.7 მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის სახელმწიფო, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 1,80 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

მარწმუნებლის, შ.პ.ს. "ვეფხვი"-ს
სახელით, დირექტორი:

გია ვეფხვაძე

ნოტარიუსი: ნინო მახსულია



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.13.03.050.002

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016406647 - 28/06/2016 17:29:02

მომზადების თარიღი
28/06/2016 18:14:56

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	დიდუბე		
01	**13**	**03**	**050/002**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 3

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 593.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 32.49 კვ.მ, N2 საერთო ფართით 206.1 კვ.მ, მათ შორის სარდაფი 101.62 კვ.მ, N3 შენობა-ნაგებობა (მშენებარე)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016062502 , თარიღი 08/02/2016 11:00:21
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/02/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 27 მარტის N07.44.360 დადგენილება.
- ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 24 ივლისს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.
- ქ. თბილისის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 1998 წლის 25 აგვისტოს გაცემული N314 მშენებლობის დაწყების ნებართვა.
- გადაწყვეტილება NM14001235 , დამოწმების თარიღი:26/02/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N1/1-352 , დამოწმების თარიღი:03/02/2016 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ვეფხვი" , ID ნომერი:201955152
სახელმწიფო

მესაკუთრე:	აღწერა:
სახელმწიფო	მიწის ნაკვეთი 593 კვ.მ და შენობა-ნაგებობები: N1 საერთო ფართით 32.49 კვ.მ, N2 საერთო ფართით 206.1 კვ.მ, მათ შორის სარდაფი 101.62 კვ.მ
შპს "ვეფხვი"	N3 შენობა-ნაგებობა (მშენებარე)

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მილებისას სამემოსავლო გალასახადი გადახდას ექვემლებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მილება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მილება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge